**ხელშეკრულება №**
**(მომსახურების შესახებ)**

**ქ. თბილისი ---------------- 2025 წელი**

ერთი მხრივ შპს „ავერსი-ფარმა“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი მელანაშვილის სახით (შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“)
საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695; მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 148.
მეორე მხრივ შპს -------, წარმოდგენილი მისი დირექტორის --------- სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსრულებელი“),
საიდენტიფიკაციო კოდი: --------; მისამართი: ---------------
თითოეული წოდებული, როგორც „მხარე, ხოლო ორივე ერთად წოდებული „მხარეებად“, ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**
1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს საინჟინრო მომსახურეობის გაწევა დამკვეთისათვის, კერძოდ, გათბობა-გაგრილების და მის მოსაწყობად შესაბამისი სამუშაოები, მისამართზე: ქ. -----, ----------- (ს/კ ------------) მდებარე შენობა-ნაგებობაში (შემდგომში) მოახდინოს მითითებული შიდა პერიმეტრის საინჟინრო სამუშაოები, ინსტალაცია/მონტაჟი, ექსპლუატაციაში მიღება და დამკვეთისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „მომსახურება“).
1.2. სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულების დეტალურ აღწერას/ჩაშლას) თან ერთვის ამ ხელშეკრულებას დანართის (ზმულის) სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შემსრულებელი ადასტურებს, რომ გაეცნო შესასრულებელ სამუშაოებს და ეთანხმება დამკვეთის მიერ დადგენილ ტექნიკურ გამოთვლებს და სპეციფიკაციებს.
1.4. შემსრულებელი ვალდებულია დაასრულოს ხელშეკრულებითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები სამუშაოები/მომსახურება და ჩააბაროს არაუგვიანეს 2025 წლის --------------. ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს დეტალური სამუშაოების გრაფიკი, რომელშიც მოცემული იქნება ყველა სახარჯთაღრიცხვო პოზიცია.
1.4.1. შემსრულებელი ვალდებულია, საკუთარი ძალებით უზრუნველყოს შეთანხმებულ სამუშაოებთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი სამუშაოების შესრულება. მათ შორის, ისეთი სამუშაოს შესრულება, როგორიც არის - ღიობების ამოჭრა კედლებში და სახურავში, მათი შემდგომი ჰერმეტიზაცია და ვიზუალური დამუშავება.
1.4.2. იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების წარმოება ისეთ პოზიციებზე, რომლებიც არ იყო გათვალისიწინებული წინასწარ, სამუშაოს წარმოება განხორციელდება ე.წ. „ღია წიგნის პრინციპით“, რაც გულისხმობს მხარეთა შორის შეთანხმებულ მასალების შესყიდვას წინასწარ დამკვეთთან შეთანხმებული ფასების

მიხედვით. ასეთ შემთხვევაში მენარდე უზრუნველყოფს ყველა ზემოაღნიშნული მასალის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენას დამკვეთისათვის, როგორებიცაა, სასაქონლო ზედნადები, ა/ფაქტურა, საბაჟო დოკუმენტაცია და სხვა ყველა დაკავშირებული დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მასალის ნასყიდობის ფაქტი. ზემოაღნიშნული მასალის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

1.4.3. დამკვეთს უფლება აქვს შეცვალოს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები, ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობისას, რის შესახებაც უნდა აცნობოს შემსრულებელს. შემსრულებელი ვალდებულია იმოქმედოს შეცვლილი ტექნიკური დავალების შესაბამისად.

სამუშაოების ცვლილების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს ცვლილების დასაბუთებული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება ცვლილების მიზეზი და მათი სრული ღირებულება შემდეგი წესით: დოკუმენტში უნდა იყოს მოცემული როგორც ცვლილებამდე არსებული სამუშაოების ღირებულება, ისე ცვლილების შემდგომი ღირებულება.

1.5. ექსპლუატაციაში გაშვების თარიღიდან იმოქმედებს 1 (ერთი) თვიანი სატესტო რეჟიმი, რომლის წარმატებით გასვლის შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. დამკვეთი უფლებამოსილია ხელი არ მოაწეროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს, თუ დანადგარებს და სისტემებს აღენიშნება რაიმე სახის ხარვეზი, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი ხარჯით გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზები.

**2. გარანტია:**

2.1. შესრულებული სამუშაოებსა და ყველა ტიპის ელექტრო დანადგარზე, ელ. დეტალებზე მოქმედებს 2 წლიანი გარანტია. საგარანტიო პერიოდის ვადის ათვლა დაიწყება ამ ხელშეკრულების 1.5 პუნქტის სატესტო რეჟიმის გავლის შემდგომ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან, ხოლო გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის დანადგარებზე მოქმედებს 3 წლიანი გარანტია. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს ქარხნის ოფიციალური გარანტიები მატერიალური და ელექტრონული სახით - სამუშაოს შესრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, შესრულებული სამუშაოების შესახებ საგარანტიო დოკუმენტის წარდგენა უზრუნველყოს საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში.

გარანტია მოქმედებს დანადგარებსა და შესრულებულ სამუშაოებზე 2 (ორი) წლის განმავლობაში. საგარანტიო პერიოდის ვადის ათვლა დაიწყება ამ ხელშეკრულების 1.5 პუნქტის სატესტო რეჟიმის გავლის შემდგომ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

**3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:**

3.1. მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს: ---------------------------- (------------------------------------------) ლარს დღგ-ს ჩათვლით, (შემდგომში- „ხელშეკრულების ღირებულება“).

3.2. მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს და კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს

შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევასთან ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებასთან.

3.3. შესრულებული სამუშაოებისა და დამონტაჟებული მასალების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და გამოყენებული მასალების მოცულობის მიხედვით, ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა დანადგარის და მასალის სერტიფიკატები.

3.4. ხარჯთაღრიცხვაში მოცემული გაუთვალისწინებელი ხარჯები (---%) არის დამკვეთის განკარგულებაში და გამოიყენება მხოლოდ იმ სამუშაოებზე, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთა სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენების აუცილებლობა, აღნიშნული ხარჯი განისაზღვრება დამკვეთის მიერ.

3.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულების გადახდა განხორციელდება ეტაპობრივად:

3.5.1. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი მოითხოვს ავანსის ჩარიცხვას და წარმოადგენს შესაბამისი თანხის უპირობო და გამოუთხოვად საბანკო გარანტიას, დამკვეთი ჩაურიცხავს შემსრულებელს საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 05 (ხუთი) დღეში, მაგრამ ჯამურად არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების მაქსიმუმ 40 %-სა.

3.5.2. ავანსის გაქვითვა მოხდება თითოეული გადახდიდან პროპორციულად. კერძოდ, თითოეული მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასახდელ თანხას გამოაკლდება ავანსად გადახდილი თანხის პროპორციული ნაწილი. ამასთან, ავანსის ყოველი გამოქვითვის შემდგომ დამკვეთი უფლებამოსილია გასცეს წერილი საბანკო დაწესებულების მიმართ ავანსის საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის შემცირების შესახებ.

3.5.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულების დარჩენილი გადაუხდელი ნაწილის გადახდა განხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, „შემსრულებლის მიერ წარდგენილი ფორმა N2-ების მიხედვით, დადასტურებული ფორმა N2-ის შემდეგ მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხდება შესაბამისი თანხის ოდენობა. დამკვეთი უფლებამოსილია, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს დამკვეთის მითითებები შესრულების დოკუმენტების სტრუქტურასთან და მის შინაარსთან დაკავშირებით.

3.6 3.5.1. და 3.5.2 მუხლებით გათვალისწინებული ყოველი ნაწილის გადახდისას, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს იმ დანადგარების/მომსახურების ჩამონათვალი, რომლის შესყიდვასაც ის განახორციელებს თითოეული გადახდილი თანხის ფარგლებში.

## 4. დამკვეთის წარმომადგენელი

**4.1**. დამკვეთის წარმომადგენელი გულისხმობს დამკვეთის მიერ დანიშნულ უფლებამოსილ ფიზიკურ პირს, რომელიც იმოქმედებს დამკვეთის სახელით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობის განხორციელების მიზნით. დამკვეთის წარმომადგენლის მითითება „სამუშაოს“ შესრულებასთან დაკავშირებით შესასრულებლად სავალდებულოა შემსრულებლისთვის დამკვეთის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ნებართვის, თანხმობის, შემდგომში მოწონების და დადასტურების გარეშე. თუკი დამკვეთი

არ შეატყობინებს შემსრულებელს მის წარმომადგენლად პირის დანიშვნის შესახებ, დამკვეთის წარმომადგენლად მიიჩნევა დამკვეთის საკონტაქტო პირი. ამ ტერმინის ქვეშ მხარეები ადასტურებენ, რომ დამკვეთი მის წარმომადგენლად ნიშნავს მის უშუალო თანამშრომელს, რომელიც ინიშნება დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში და რომელიც ყოველდღიურ (შესაბამის სამუშაო დღეებში) აკონტროლებს სამშენებლო პროცესს და რომლის მითითება და სამშენებლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება სავალდებულოა შემსრულებლისთვის შესასრულებლად.

**4.2.** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის დამკვეთის წარმომადგენელია:

ტექნიკური ზედამხედველი: ზვიად ყურაშვილი z.kurashvili@aversi.ge, ტელ: 593 61 58 57

4.3. . დამკვეთის მიერ ზემოაღნიშნულ პოზიციებზე დანიშნულ დამკვეთის წარმომადგენელს აქვს დამკვეთის სახელით მოქმედების უფლებამოსილება.

4.4. დამკვეთი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ, მის წარმომადგენლად დანიშნოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

4.5. დამკვეთი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ დაადგინოს, შეცვალოს, გააფართოვოს, შეამციროს მის წარმომადგენლებზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლები/ფუნქციები, რის შესახებაც ატყობინებს შემსრულებელს.

4.6. დამკვეთის წარმომადგენლების შეცვლა არ შევა ძალაში, ვიდრე შემსრულებელი და ზედამხედველი არ მიიღებენ დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილ (დასაშვებია ელექტრონული შეტყობინებაც) შეტყობინებას არსებული დამკვეთის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტისა და დამკვეთის ახალი წარმომადგენლის დანიშვნის, მისი ფუნქციების და უფლებამოსილებების შესახებ.

**5. შემსრულებლის წარმომადგენელი**

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის და სამუშაოების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში მენარდის წარმომადგენელია: ------------------------- სახელი გვარი, ----------------- საკონტაქტო მონაცემები.

5.2.შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსრულებლის წარმომადგენლის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხარისხიანად და უწყვეტად შესრულება.

5.3. შემსრულებლის წარმომადგენელმა სრული დრო უნდა დაუთმოს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების მართვას. თუ სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებლის წარმომადგენელს 2 საათზე მეტი დროით უწევს სამუშაო მოედნის დატოვება, ზედამხედველის წინასწარი თანხმობით უნდა დაინიშნოს შესაფერისი შემცვლელი პირი და ზედამხედველს უნდა ეცნობოს შესაბამისად.

5.4. შემსრულებლის მიერ შემსრულებლის წარმომადგენლის დანიშვნა და/ან შეცვლა საჭიროებს ზედამხედველის წინასწარ თანხმობას. ზემოაღნიშნულ პოზიციებზე უფლებამოსილი წარმომადგენლების დანიშვნის და/ან შეცვლის მიზნით შემსრულებელი აცნობებს ზედამხედველს კანდიდატთა მონაცემებს. შემსრულებელი ვალდებულია ზემოაღნიშნულ პოზიციებზე დანიშნოს სათანადო ცოდნის და გამოცდილების მქონე

პირები.
5.5. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი არ შეითანხმებს წარმოდგენილ კანდიდატებს, რადგან დასაბუთებულად და ობიექტურად მიიჩნევს, რომ დანიშნული პირი სათანადოდ და ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს ახალი კანდიდატის წარმოდგენა ზედამხედველის მოთხოვნიდან უმოკლეს გონივრულ ვადაში.
5.6. შემსრულებლის წარმომადგენლებს ენიჭებათ უფლებამოსილება იმოქმედონ მისი სახელით და მიიღონ დამკვეთის ან/და ზედამხედველის მითითებები.
5.7. შემსრულებლის წარმომადგენლების შეცვლა არ შევა ძალაში, ვიდრე დამკვეთი და ზედამხედველი არ მიიღებენ შემსრულებლის შეტყობინებას არსებული შემსრულებლის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტისა და მისი ახალი წარმომადგენლის დანიშვნის, მისი ფუნქციების და უფლებამოსილებების შესახებ და ზედამხედველი არ შეითანხმებს წარმოდგენილ კანდიდატს/ებს.

## 6. ზედამხედველი

6.1. სამუშოების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში ზედამხედველი განახორიცელებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.
6.2. ზედამხედველი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში ზედამხედველის ფუნქციების ჯეროვნად, ხარისხიანად და უწყვეტად შესრულება, რაც მათ შორის გულისხმობს ზედამხედველის მიერ მიღებული ნებიმიერი გადაწყვეტილების ობიექტურობის და დასაბუთების ვალდებულებას.
6.3. ზედამხედველი, ასევე ზედამხედველის თანამშრომლები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) უნდა იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებიც კომპეტენტურნი იქნებიან განახორციელონ ზედამხედველის ფუნქციები.
6.4. ყოველთვის, როდესაც ზედამხედველი ასრულებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ან ხელშეკრულებით ნაგულისხმევ ფუნქციებს ან ახორციელებს ასეთ უფლებამოსილებებს, მიიჩნევა, რომ ზედამხედველი მოქმედებს დამკვეთის სახელით.
6.5. ზედამხედველი არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ხელშეკრულების პირობები ან გაათავისუფლოს ხელშეკრულების რომელიმე მხარე ხელშეკრულებით ნაკისრი რაიმე ვალდებულების, ფუნქციის შესრულებისგან ან პასუხისმგებლობისგან.
6.6. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს ან დაამატოს ამ მუხლში მითითებული ზედამხედველი და ზედამხედველის შეცვლის ან დამატების შესახებ შეატყობინოს შემსრულებელს.
6.7. ზედამხედველის შეცვლა ან დამატება არ შევა ძალაში, ვიდრე შემსრულებელი და არსებული ზედამხედველი არ მიიღებენ დამკვეთის შეტყობინებას არსებული ზედამხედველის უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეცვლის და ახალი ზედამხედველის დანიშვნის, მისი ფუნქციების და უფლებამოსილებების შესახებ, ხოლო ზედამხედველის დამატების შემთხვევაში, ასევე ზედამხედველებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ.
6.8. სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესს სრულ ზედამხედველობას უწევს რა ზედამხედველი, სამუშაოთა ეტაპების ჩაბარება, შესაბამისი დეფექტური აქტების, ფარული

სამუშაოს აქტების, შუალედური მიღება–ჩაბარების აქტების, საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის დამკვეთის მხრიდან ხელმოწერა ხორციელდება ზედამხედველის დასტურით, შესაბამისად, მიუხედავად დამკვეთის მიერ სამუშაოთა და მისი ეტაპების მიღებისა, ზედამხედველი სრულად არის პასუხისმგებელი შესრულებულ სამუშაოთა წინამდებარე ხელშეკრულების პირებებთან შესაბამისობის სისწორესა და დამკვეთის მხრიდან მის ჩაბარებაზე. ზედამხედველი წერილობითი ფორმით ახორციელებს დეფექტური აქტების, ფარული სამუშაოს აქტების, მიღება– ჩაბარების აქტების დადასტურებას.
6.9. დამკვეთის გადაწყვეტილებით, წინამდებარე ხელშეკრულების ზედამხედველისთვის გათვალისწინებული ვალდებულებების და პასუხისმგებლობის გაცნობის მიზნით, შესაძლოა წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსი ეცნობოს და დადასტურდეს ზედამხედველის მიერ, რომელიც არ ჩაითვლება დამკვეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებით კონფიდენციალურად მიჩნეული პირობების დარღვევად.

**7. ქვეკონტრაქტორები და სხვა მესამე პირები:**

7.1. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ქვეკონტრაქტის საფუძველზე სრული სამუშაოების გადაცემა.
7.2. შემსრულებელი ვალდებულია პროექტის ფარგლებში ქვეკონტრაქტორთან ხელშეკრულების დადებამდე მოიპოვოს ზედამხედველის წინასწარი თანხმობა იმ შემთხვევაში, თუკი გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულება აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს.
7.3. თანხმობის ან უარის გაცემის მიზნით, ზედამხედველი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის შესახებ.
7.4. შემსრულებელი არ არის უფლებამოსილი დადოს ხელშეკრულება ისეთ ქვეკონტრაქტორთან ან მესამე პირთან, რომელთან ხელშეკრულების დადებაზეც ზედამხედველი არ მისცემს თანხმობას. ზედამხედველს აქვს უარის დასაბუთების ვალდებულება.
7.5. შემსრულებლის მიერ სამუშაოების გადანდობის და ზედამხედველის მიერ გაცემული თანხმობ(ებ)ის მიუხედავად, შემსრულებელი თავად რჩება პასუხისმგებელი ქვეკონტრაქტორების, მათი წარმომადგენლების თუ თანამშრომლების და სხვა მესამე პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე, ასევე შესასრულებელ ვალდებულებებზე, მათ ქმედებებსა თუ დარღვევებზე ისევე, როგორც იგი იქნებოდა პასუხისმგებელი პირადად შესრულებულ სამუშაოზე, პირადად ნაკისრ ვალდებულებებზე, საკუთარ ქმედებებსა და დარღვევებზე.
7.6. შემსრულებელი პასუხისმგებელია დამკვეთის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ სამუშაოების წარმოებაზე და ვალდებულია კოორდინირება გაუწიოს მათ საქმიანობას.
7.7. შემსრულებელი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე შეატყობინოს ზედამხედველს თითოეული ქვეკონტრაქტორის მიერ სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღი.
7.8. როდესაც სამუშაოების შესრულებას ახორციელებს ქვეკონტრაქტორი, შემსრულებელი ვალდებულია მოსთხოვოს ქვეკონტრაქტორს მეთოდური მითითების წარმოდგენა შესასრულებელ სამუშაოებზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ ინფორმაციას და რომელიც უნდა შეთანხმდეს ზედამხედველთან.
7.9. მხარეები, თანხმებიან, რომ მიუხედავად შემსრულებელი მიერ ქვეკონტრაქტორთან და/ან სხვა მესამე პირთან ხელშეკრულების დადებამდე ზედამხედველის წინასწარი თანხმობისა, შემსრულებელი სრულად არის პასუხისმგებელი ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგებზე, და აღნიშნულის ფარგლებში აღებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე.

## 8. სამუშაო მოედნის გადაცემა

8.1. ხელშეკრულების დადების მომენტში შემსრულებელს გადაცემული აქვს სამუშაო მოედანზე შესვლის უფლება.
8.2. შემსრულებელი აცხადებს, რომ მან გულდასმით დაათვალიერა და შეამოწმა სამშენებლო მოედანი/ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია და ადასტურებს, რომ სამშენებლო მოედანი აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ყველა აუცილებელ პარამეტრსა და მოთხოვნას და არ არსებობს შემაფერხებელი გარემოებები ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაოების დაწყებისა და შეუფერხებლად შესრულებისათვის.

## 9. სამუშაო მოედნის დაცვა

9.1.1. სამუშაო მოედნის დაცვას უზრუნველყოფს შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
9.1.2. შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაო მოედანზე იმ აღჭურვილობის და მობილიზებული ტექნიკის, მათ შორის მესამე პირების საკუთრებაში არსებული ტექნიკის უსაფრთხოდ დაცვაზე. პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აღჭურვილობა, დანადგარები და ტექნიკის დაზიანება მოხდება შემსრულებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ.
9.1.3. შემსრულებლის თანამშრომელი ვალდებულია დამკვეთის ობიექტზე დაიცვას უსაფრთხოების წესები. იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდა შემსრულებლის თანამშრომლის მხრიდან წესების დარღვევა და დამკვეთს დაეკისრა რაიმე სახის პასუხისმგებლობა, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაჯარიმდა, შემსრულებელი იღებს პასუხისმგებლობას აანაზღაუროს აღნიშნული ჯარიმა, ხოლო დამკვეთს უფლება აქვს საჯარიმო თანხის ოდენობა შემსრულებელს დაუკავოს ასანაზღაურებელი თანხიდან.

## 10. უსაფრთხოების წესები

10.1. შემსრულებელი ვალდებულია:
(ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების, მათ შორის შრომის უსაფრთხოებისა და ტექნიკის უსაფრთხოების მოთხოვნები და წესები;
(ბ) დანიშნოს სამუშაოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სამუშაოების წარმოების სრული ვადით. ასეთ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გასცეს მითითებები და მიიღოს ზომები უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.
სამუშაოების შესრულების სრულ პერიოდში, შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი პირი ყველა საჭირო საშუალებით, რაც მოითხოვება მის მიერ უფლებამოსილების

განსახორციელებლად;
(გ) მიიღოს ყველა გონივრულად საჭირო ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხე სამშენებლო მოედანზე მყოფ პირთათვის;
(დ) უზრუნველყოს დაქირავებული პერსონალის და ქვეკონტრაქტორების მიერ სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების მოთხოვნების და წესების დაცვა;
(ე) გააცნოს ობიექტზე მყოფ დაქირავებულ პერსონალს უსაფრთხოების წესები და ჩაუტაროს მათ სათანადო ინსტრუქტაჟი; ინსტრუქტაჟის ჩატარების ფაქტს შესაბამისი პირები უნდა ადასტურებდნენ უსაფრთხოების ჟურნალში ხელმოწერით და თარიღის მითითებით;
(ვ) არ დაუშვას სამშენებლო მოედანზე უცხო პირები;
(ზ) უზრუნველყოს ისეთი დროებითი საშუალებების (ბილიკები, ღობეები და სხვა) შექმნა, რაც აუცილებელია სამუშაოების შესასრულებლად;
(თ) სამუშაოების წარმოების სრული პერიოდის განმავლობაში მიიღოს ყველა გონივრული სიფრთხილის ზომა, რათა დაიცვას სამშენებლო მოედანზე მყოფი პირების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
(ი) უზრუნველყოს სამუშაო მოედანზე პირველადი დახმარების საშუალებები და მოაწყოს სამედიცინო კუთხე.
10.2. შემსრულებელი ვალდებულია შეათანხმოს ზედამხედველთან უსაფრთხოების წესები, მიუხედავად აღნიშნულისა, შემსრულებელი პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი ორგანოს, მათ შორის სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სამუშაო მოედანზე შრომის უსაფრთხოების კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე და ვალდებულია გამოასწოროს რისკის შეფასების დროს დადგენილი ხარვეზები.
10.3. სამუშაო მოედანზე შემსრულებლის, მათ შორის მისი წარმომადგენლების, თანამშრომლების, დაქირავებული პირების, შემსრულებელს სხვა პერსონალის, ასევე ქვეკონტრაქტორების მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს. შემსრულებელი პასუხისმგებელია ყველა იმ ჯარიმაზე/ფინანსურ სახდელზე, რომელიც შესაძლოა დაწესდეს ადგილობრივი ან სახელმწიფო ორგანოების, მათი წარმომადგენლების, მათ შორის სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სამუშაო მოედანზე შრომის უსაფრთხოების პირობების დარღვევის შედეგად.
10.4. ზედამხედველი, ასევე დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს სამუშაო მოედანზე მყოფი პირების მიერ უსაფრთხოების წესების დაცვა. დამკვეთი უფლებამოსილია უსაფრთხოების წესების დარღვევის პირველი შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, მისცეს შემსრულებელს გაფრთხილება, ხოლო თუ შემსრულებელმა არ გამოასწორა დარღვევა, დააკისროს შემსრულებლის პირგასამტეხლო სამუშაოების უსაფრთხოების წესები დარვევის თითოეული შემთხვევისათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ასევე, ყოველი მომდევნო დარღვევის პირველსავე შემთხვევაზე, დამკვეთი უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.
10.5. სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების, მათ შორის ტექნიკის უსაფრთხოების წე-სების/ნორმების/მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს. ასევე, სამუშაოების შესრულებიდან გამომდინარე ყველა საფრთხეზე, მათ შორის, როგორც „დამკვეთი“–ს საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ნივთების, ისე მესამე პირთა საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ნივთების დაზიანებაზე, მასთან ან „დამკვეთთან“

შრომით–სამართლებრივ ან სხვაგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების ან მესამე პირების ჯანმრთელობის დაზიანებაზე ან სიცოცხლის მოსპობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს თუ ეს გამოწვეული შემსრულებლის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით. შემსრულებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**11. სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის გატანის ვალდებულება**

11.1. შემსრულებელი ვალდებულია სამშენებლო მოედანზე და მისკენ მისასვლელ გზებზე დაიცვას სისუფთავე სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, ხოლო სამუშაოების დასრულების ან ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში დააბრუნოს სამშენებლო მოედანი გასუფთავებული ყოველგვარი ნაგავისა და სამშენებლო ნარჩენებისაგან.

11.2. შემსრულებელი ვალდებულია სისტემატიურად აწარმოოს ობიექტის და მისკენ მისასვლელი გზების დალაგება, დასუფთავება და მოქმედი ნორმების გათვალისწინებით უზრუნველყოს სამშენებლო მოედნიდან და მისკენ მისასვლელი გზებიდან მის მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად დაგროვილი გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების და ნაგვის გატანა მინიმუმ 10 დღეში ერთხელ ან საჭიროებიდან გამომდინარე მოკლე პერიოდში.

11.3. დალაგება-დასუფთავების, ასევე გამოუსადეგარი სამშენებლო ნარჩენების/ნაგვის შეგროვების და გატანის ხარჯებს სრულად გაიღებს შემსრულებელი.

11.4. შემსრულებელი პასუხისმგებელია ყველა იმ ჯარიმაზე/ფინანსურ სახდელზე, რომელიც შესაძლოა დაწესდეს სამშენებლო მოედანზე ნარჩენების მართვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად.

**12. გარემოს დაცვა**

12.1. შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვას გარემო (როგორც სამშენებლო მოედნის შიგნით, ასევე მის გარეთ) დაბინძურებისგან და მისი საქმიანობის სხვა უარყოფითი შედეგებისგან.

12.2. შემსრულებელი პასუხისმგებელია ყველა იმ ჯარიმაზე/ფინანსურ სახდელზე, რომელიც შესაძლოა დაწესდეს სამშენებლო მოედანზე გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად.

**13. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:**

13.1. შემსრულებელი ვალდებულია:

13.1.1. გადასცეს დამკვეთს საკუთრებაში ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო დანადგარები და სისტემები.

13.1.2 სამუშაოების მსვლელობის დროს, ასევე სამუშაოების დასრულების შემდგომ წარმოადგინოს ფაქტობრივად შესრულებული/შესასრულებელი სამუშაოების ნახაზები. ე. წ „ეზ–ბილთი "

13.1.3 დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, შემსრულებელს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს შესყიდული მასალების დამადასტურებელი დოკუმენტაცია

13.1.4. არაუგვიანეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან მე-2 დღეს დაიწყოს მობილიზებისა და

შემდგომი სამუშაოს შესრულება;
13.1.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დადგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით.
13.2. დაგეგმოს სამუშაოთა შესრულება და თავად მართოს სამუშაოების წარმოების პროცესი ხელშეკრულების შესაბამისად და კოორდინირება გაუწიოს სამშენებლო მოედანზე მყოფი საკუთარი ქვეკონტრაქტორების სამუშაოებს.
13.3. შემსრულებელი პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების და მათი შესრულების მეთოდების შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, პროცესის ადეკვატურობაზე, სტაბილურობაზე, უსაფრთხოებაზე და შესრულებული სამუშაოების სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და საიმედოობაზე.
13.4. შემსრულებელი ვალდებულია თავად, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, ყველა აუცილებელი ნებართვის, ლიცენზიის და თანხმობის მოპოვება და დოკუმენტაციის მომზადება. ამასთან, თუ შემსრულებელს ნებართვის, ლიცენზიის და/ან თანხმობის მოსაპოვებლად დასჭირდება დამკვეთის ჩართულობა, მაშინ დამკვეთმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე უნდა მიიღოს მონაწილეობა ნებართვა/უფლების მოპოვების პროცესში და შეასრულოს ყველა მოქმედება (გარდა ხარჯის გაწევისა), რაც დასჭირდება შემსრულებელს აღნიშნულის მოსაპოვებლად.
13.5. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოების საწარმოებლად (ხელშეკრულების გათვალისწინებულ ფარგლებში), შესასრულებლად, დასასრულებლად და დეფექტების აღმოსაფხვრელად საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ნებისმიერი აუცილებელი ტექნიკის, ინვენტარის, დანადგარის, პერსონალის, აღჭურვილობის, მოწყობილობების ტრანსპორტირებას, მობილიზაციას, ფლობას, გამოყენებას, დემონტაჟს, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული წინამდებარე ხელშეკრულებაში.
13.6. შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს ზედამხედველს ის გეგმები და მეთოდები, რომელთა გამოყენებასაც შემსრულებელი აპირებს სამუშაოების შესასრულებლად. დაუშვებელია მენარდის მიერ აღნიშნული გეგმების და მეთოდების შეცვლა, გვერდის ავლა, ზედამხედველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.
13.7. შემსრულებელი ვალდებულია მიავლინოს ობიექტზე სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი რაოდენობისა და სათანადო კვალიფიკაციის მუშა-ხელი და უზრუნველყოს მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.
13.8. შემსრულებელი პასუხისმგებელია სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ყველა ოპერაციის ადეკვატურობაზე, სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე.
13.9. შემსრულებელი ვალდებულია იმოქმედოს დამკვეთის ან/და ზედამხედველის მითითებების შესაბამისად, მათ შორის სამუშაოს ან მისი ნაწილის შესრულებასთან და/ან შეჩერებასთან დაკავშირებით. ამასთან, თუ შემსრულებელი, დამკვეთის/ზედამხედველის მიერ გაცემულ რომელიმე დავალებას/მითითებას/ინსტრუქციას მიიჩნევს სახიფათოდ ან საზიანოდ, მან აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ (5 სამუშაო საათის განმავლობაში, როდესაც მან აღმოაჩნია ასეთი მითითების შესრულების შესაძლო უარყოფითი შედეგები) და შესაბამისი დასაბუთებით უნდა აცნობოს ზედამხედველს/დამკვეთს. იმ შემთხვევაში თუ

ზედამხედველი/დამკვეთი, შემსრულებლის ასეთი შეტყობინების მიუხედავად მაინც მოითხოვს დავალების/მითითების/ინსტრუქციის შესრულებას, მაშინ შემსრულებელი გათავისუფლდება დავალების/მითითების/ინსტრუქციის შესრულების შედეგად წარმოშობილ ყველა ნეგატიურ შედეგზე პასუხისმგებლობისგან.
13.10. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.
13.11. იმ პირობით, რომ ეს არ იქნება დაკავშირებული მისთვის ფინანსური ვალდებულების წარმოშობასთან შემსრულებელი ვალდებულია ზედამხედველის დავალებით დახმარება აღმოუჩინოს სამშენებლო მოედანზე მესამე პირებს მათ მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში (მათ შორის მასალების ობიექტზე დასაწყობების, შემსრულებლის ხელთ არსებული ტექნიკის/ტექნიკური საშუალებების გამოყენების მიზნით, ასევე ინფორმაციის მისაწოდებლად და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველის ამგვარი დავალება იწვევს შემსრულებლისს მიერ შესასრულებელი სამუშაოს შეფერხებას ან დამატებით ხარჯებს, შემსრულებელი ვალდებულია დასაბუთებულად, წინასწარ წერილობით შეატყობინოს ზედამხედველს. თუ ზედამხედველი მაინც დაავალებს ამგვარ დახმარებას, დასრულების ვადა შესაბამისად დაკორექტირდება და დამატებითი ხარჯები აუნაზღაურდება შემსრულებელს.
13.12. შემსრულებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს სამშენებლო მოედანზე არსებულ დამკვეთის და მასთან შეთანხმებული მესამე პირების მასალებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნაკეთობებს, სამუშაოებს, ასევე საკომუნიკაციო (წყალმომარაგება, ელექტროენერგია) სისტემებს და მრიცხველებს; შემსრულებლის ან მისი ქვეკონკონტრაქტორის (მათ შორის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების, დაქირავებული პირების, ქვეკონტრაქტორების) მიერ, თუ შემსრულებელმა არ გააფრთხილა საკუთარი თანამშრომელი, ან გაფრთხილების მოთხოვნის შესრულება პრაქტიკულად ეწინააღმდეგებოდა დამკვეთის ინტერესებს, მათი დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ან მისი ღირებულების სრულად დაფარვა, ასევე ზიანის ანაზღაურება და ნებისმიერი ჯარიმის (მათ შორის ადმინისტრაციული) გადახდა. ყოველგვარი ეჭვის, ბუნდოვანებისა და ორაზროვანი ინტერპრეტაციის გამოსარიცხად კონკრეტდება, რომ ეს პუნქტი არ გულისხმობს შემსრულებლის ვალდებულებას დაიცვას სხვა პირის ქონება ქურდობისა თუ სხვაგვარი დანაკარგისგან.
13.13. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოთა შეუფერხებელი შესრულება და არ დაუშვას მესამე პირთა მხრიდან პროცესის შეფერხება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული წინასწარ არ არის შეთანხმებული ზედამხედველთან ან ხორციელდება უშუალოდ ზედამხედველის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირების მიერ ხდება პროცესის ხელის შეშლა/შეფერხება და ეს შეშლა/შეფერხება არ არის გამოწვეული შემსრულებლის ბრალით ან არ არის დაკავშირებული შემსრულებლის რაიმე ქმედებასთან, მაშინ ყველა ასეთი შეჩერება/შეფერხების აღმოფხვრა უნდა უზრუნველყოს დამკვეთმა საკუთარი ძალებით.
13.14. შემსრულებელი ვალდებულია მისცეს დამკვეთს, ზედამხედველს და მათ წარმომადგენლებს სათანადო და სრული ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.
13.15. შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით გააფრთხილოს

ზედამხედველი იმის თაობაზე, რომ არსებობს შემსრულებლისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაოების ვარგისიანობას ან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათზე ან სამუშაოების შესრულებაზე.
13.16. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისმა წარმომადგენლებმა, დაქირავებულმა პირებმა, ქვეკონტრაქტორებმა გამიზნულად ან რაიმე მატერიალური სარგებლის მიზნით არ მიაწოდონ ინფორმაცია მესამე პირებს, მათ შორის დამკვეთის კლიენტებს სამუშაოების და მისი მიმდინარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით და მის პროცესში.
13.17. მომსახურება გაწიოს მაღალი ხარისხით და სამუშაოები შეასრულოს სრულყოფილად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანი მასალების გამოყენებით, ზოგადად ამგვარი მომსახურებისთვის აღიარებული სტანდარტით და წარუდგინოს დამკვეთს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სამუშაოები და მომსახურება.
13.18. შეასრულოს დამკვეთის მითითებები, თუ აღნიშნული მითითებების შესრულება საფრთხის ქვეშ არ აყენებს შესასრულებელი სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ხარისხს. მოსალოდნელი საფრთხის ან/და ხარვეზების საშიშროების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს და წარუდგინოს შესაბამისი განმარტება, თუ რა საფრთხე შეიძლება შეექმნას/ხარვეზები შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოებში/მომსახურებაში დამკვეთის მითითებების შესრულებამ;

13.19. უზრუნველყოს პროექტის მენეჯერის ობიექტზე მუდმივი ყოფნა. ობიექტის დატოვების აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ვადა 2 (ორი) საათს აჭარბებს, შემსრულებელმა ამის შესახებ წინასწარ უნდა შეატყობინოს დამკვეთს.

13.20. არანაკლებ კვირაში ერთხელ, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ნარჩენებისა და მორჩენილი მასალების გატანა ობიექტიდან. სამუშაოების დასრულების შემდეგ, ობიექტი უნდა ჩაბარდეს პირვანდელ ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაში — სრულად დასუფთავებული და ნარჩენებისგან განთავისუფლებული.

13.21. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე დროებით შეწყდება ელექტროენერგიის მიწოდება, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოების შეუფერხებელი გაგრძელება დროებითი დენის წყაროს (ორის) საშუალებით.

13.22. დამკვეთს წინასწარ წარუდგინოს გამოსაყენებელი მასალებისა და დანადგარების ტექნიკური ანოტაციები და შესაბამისი სერტიფიკატები. დანადგარების მიწოდების შემდეგ, შემსრულებელმა დამკვეთს უნდა გადასცეს აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ასლები.

13.23. შემსრულებელმა საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მასალათა უწყისის კორექტირება, დამკვეთის მიერ შეცვლილი ტექნიკური დავალების შესაბამისად.

13.24. მინიმუმ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით შეატყობინოს დამკვეთს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საჭიროებს გადაწყვეტილების მიღებას, ისე რომ არ შეფერხდეს სამუშაოების მიმდინარეობა და არ იმოქმედოს გრაფიკით შეთანხმებულ ვადებზე.

13.25. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის, მისი დასაქმებულის ან ქვეკონტრაქტორის მოქმედების ან უგულებელყოფის შედეგად დაზიანდება დამკვეთის საკუთრებაში არსებული ქონება, ობიექტი ან ინფრასტრუქტურა, შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზარალი და აღადგინოს დაზიანებული ქონება, ობიექტი ან ინფრასტრუქტურა პირვანდელ, უნაკლო მდგომარეობაში.
13.25.1. ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულოს და მომსახურება საბოლოო სახით გადასცეს დამკვეთს ამ ხელშეკრულების 1.4. მუხლში აღნიშნულ ვადაში;
13.25.2. საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას ნებისმიერი ნაკლი სამუშაოებში/მომსახურებაში დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში. ყოველგვარი ორაზროვნების გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ნაკლის გამოსწორებას დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, დამკვეთი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა მესამე პირის დახმარებით, რა შემთხვევაშიც, აღნიშნული მესამე პირისთვის გადასახდელი თანხმები (მიუხედავად მათი ოდენობისა) სრულად უნდა აანაზღაუროს შემსრულებელმა.
13.25.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველი შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების დროს, დამკვეთი შემსრულებელს დაუკავებს ყოველი შესრულებული სამუშაოს ღირებულების 10%-ს. დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის დაკავებული თანხის ნახევარის დაბრუნება მოხდება, სამუშაოების სრული სატესტო პერიოდის გასვლიდან და საბოლოო მიღება-ჩაბარების ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში. ხოლო მეორე ნახევარი დროებით დაკავებული იქნება სარეკლამაციო გარანტიის მიზნით, შემდეგი წესით - საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 6 თვეში შემსრულებელს დაუბრუნდება დაკავებული თანხის 50%, ხოლო 1 წლის თავზე სრულად დაუბრუნდება.
13.25.4. სარეკლამაციო პერიოდის განმავლობაში, თუ შესრულებულ სამუშაოებში ან დამონტაჟებულ დანადგარებს/აგრეგატებში გამოვლინდება ხარვეზი, შემსრულებელი ვალდებულია ხარვეზის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს მისი სრულყოფილი გამოსწორება. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს, დამკვეთს უფლება ეძლევა სამუშაოების შესრულება მიანდოს მესამე პირს, ხოლო განხორციელებული სამუშაოების ღირებულება (დამატებით 20%-იანი პირგასამტეხლოთი) დააკლოს შემსრულებლის სარეკლამაციო თანხიდან.
13.25.5. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დაუსაბუთებლად უარს აცხადებს ან ვერ უზრუნველყოფს ნაკლის გამოსწორებას დამკვეთის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში და დამკვეთი ეთანხმება შემსრულებლის არგუმენტირებას, დამკვეთი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით შეასრულოს და/ან დაუკვეთოს სამუშაოების შესრულება ნებისმიერ

მესამე პირს და გამოქვითოს ასეთი თანხები გადასახდელი თანხიდან, ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი სამუშაოების შესრულებასთან, მათ მიღებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის საბანკო გარანტიების ან ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

14.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:
14.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვით შესრულებული სამუშაოსათვის მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება;
14.2.2. არ დაიწყოს, ან არ გააგრძელოს სამუშაოები დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ანგარიშსწორებისა და ობიექტზე შემსრულებლის დაშვების უზრუნველყოფის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
14.3. დამკვეთი ვალდებულია:
14.3.1. განახორციელოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით, წესითა და პირობებით.
14.3.2. შემსრულებლის მიერ მოთხოვნილ ვადებში წარუდგინოს მას ის აუცილებელი ტექნიკური შინაარსის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც დამკვეთის მოსაზრებით აუცილებელია შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთან, დამკვეთი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს შემსრულებელს სამუშაოების წარმართვაში და თუ კი მისმა რაიმე ქმედებამ ან უმოქმედობამ გამოიწვია ისეთი შედეგი, რამაც შესაძლოა, გაართულოს ან შეაფერხოს სამუშაოს შესრულება, მაშინ შემსრულებელმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს დამკვეთს ამის შესახებ ყველა დეტალის მითითებით და მისცეს გონივრული ვადა შეფერხების აღსაკვეთად.
**14.4. დამკვეთი უფლებამოსილია:**
14.4.1. დანადგარების და მომსახურების ნაკლის არსებობის/აღმოჩენის შემთხვევაში (თუ შემსრულებლის ბრალეულობიდან გამომდინარეა), მოსთხოვოს შემსრულებელს მისი შეკეთება შემსრულებლის ხარჯებით.
14.4.2. შესრულებულ სამუშაოში/მომსახურებაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში განუსაზღვროს შემსრულებელს დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა ამგვარი ხარვეზის აღმოფხვრისთვის. შემსრულებელი ვალდებულია ხარვეზი გამოასწოროს საკუთარი ხარჯებით, დამკვეთის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში.
14.4.3. ნებისმიერ დროს მოითხოვოს შემსრულებლისგან სრული ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;
14.4.4. მოითხოვოს შემსრულებლისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული და განუხრელი დაცვა;
**14.4.5.** უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ხოლო ავანსის შემთხვევაში მოითხოვოს შემსრულებლისთვის ავანსად გადახდილი თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად დაბრუნება, გამოითხვოს საავანსო საბანკო გარანტია, თუ შემსრულებელი არ იწყებს სამუშაოების განხორციელებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ან თუ სამუშაოების შესრულების ტემპიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ მათი დროულად შესრულება აშკარად შეუძლებელია.

**15. მხარეთა პასუხისმგებლობა**

15.1. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო, თითოეული დარღვევისთვის ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2. დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებლის მოთხოვნით იგი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების თანხის 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.3. შესრულების ნებისმიერი ვადების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის, შუალედურ მაილსთოუნებზე) დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი შესრულების ვადებს გადააცილებს 10 (ათი) დღით დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე, არ გადაიხადოს სამუშაოთა ღირებულება.

15.4. შემსრულებელი პასუხისმგებელია სრულად ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ფასების სისწორეზე და იღებს პასუხისმგებლობას, რომ მოცემული პროექტის მიმდინარეობისას და მის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების/მასალების ღირებულება დარჩება უცვლელი.

15.5. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებლის მიერ არასათანადო ხარისხით განხორციელებული მომსახურების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანს აანაზღაურებს შემსრულებელი. დამატებით შემსრულებელი სრულად პასუხისმგებელია უსაფრთხოების წესების დარღვევით ან/და მის შედეგად დამკვეთსა ან/და ნებისმიერი მესამე პირებისთვის ან/და მათი ქონებისთის მიყენებულ ზიანზე.

15.6. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების მე-18 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის პირობის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით.

15.7. პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს გადახდა მხარეს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მხარის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**16. ხარისხის კონტროლი და სამუშაოების მიღების წესი**

16.1. შესრულებულ სამუშაოში დეფექტების/ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენელი აცნობებს შემსრულებელს გამოვლენილი დეფექტების/ხარვეზების შესახებ და განუსაზღვრავს დეფექტების/ხარვეზების გამოსასწორებელ ვადებს. შემსრულებელი ვალდებულია (მისი ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში) საკუთარი ხარჯით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტები/ხარვეზები. დამკვეთი იტოვებს უფლებას იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არ უზრუნველყოფს დეფექტის/ხარვეზის გამოსწორებას დამკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში,

საკუთარი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს აღნიშნული დეფექტების/ხარვეზების გამოსწორება ნებისმიერი მესამე პირის მეშვეობით, არ გადაუხადოს შემსრულებელს სამუშაოების ღირებულება და მოსთხოვოს მას დეფექტების/ხარვეზების გამოსწორებისათვის დამკვეთის მიერ შერჩეული ნებისმიერი პირის მიერ განსაზღვრული ღირებულების ანაზღაურება.

16.2. შემსრულებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოები წარუდგინოს და ჩააბაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ან ნებისმიერ სხვა უფლებამოსილ აკრედიტებულ ორგანოს. ხარვეზების დადგენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას ისინი საკუთარი ხარჯებით, აღნიშნული ორგანოს ან დამკვეთის მითითებების შესაბამისად.

**17. დამატებითი პირობები**

17.1. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, შესაბამისი მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, დავის განხილვა მოხდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

17.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ობიექტის ნებისმიერი ნარჩენით, ან მასალით დანაგვიანების შემთხვევაში, თითოეული მხარე საკუთარი ხარჯით, თავად უზრუნველყოფს მის მიერ დანაგვიანებული ტერიტორიის სრულად გაწმენდას ისე, რომ მეორე მხარეს არ შეეშალოს ხელი საქმიანობაში.

**18. კონფიდენციალურობა**

18.1. შემსრულებელი ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი მოქმედების დასრულების ან შეწყვეტის შემდეგ რაიმე ვადის შეზღუდვის გარეშე (განურჩევლად დასრულების თუ შეწყვეტის მიზეზისა), კონფიდენციურად შეინახოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია წინამდებარე ხელშეკრულების შესახებ, აგრეთვე ამ ხელშეკრულების მეშვეობით მიღებული თუ დამუშავებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მათ შორის და არა მხოლოდ პროექტი და გაამჟღავნოს იგი მხოლოდ იმ პირობით და იმ შემთხვევაში, თუკი ამაზე აშკარა წერილობითი ნებართვა გააჩნია დამკვეთისაგან.

**19. ფორს – მაჟორი**

19.1. მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული ვითარების გამო, რომელიც არ იყო და არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო შესაბამისი მხარისათვის ხელშეკრულების გაფორმებისას და რომლის აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ძალისხმევით და თუკი ასეთი ფორს-მაჟორული ვითარება შეუძლებელს ხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულებას. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ ახალი

კორონა ვირუსით (COVID 19) და მისგან გამომდინარე შედეგები წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის არ წარმოადგენს ფორს-მაჟორულ გარემოებას.
19.2. თუკი ფორს-მაჟორული გარემოებები გაგრძელდა 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

**20. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტის შედეგები**
20.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
20.1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა დაასრულოს სამუშაოების დაწყებიდან, არაუგვიანეს -----------------------------
20.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:
20.2.1. მხარეთა შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
20.2.2. დამკვეთის მიერ ცალმხრივად შემსრულებლისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ სამუშაოების დაწყებიდან 1.4. მუხლით განსაზღვრულ ვადაში „შემსრულებლის“ ბრალეულობით არ მოხდა დაკისრებული სამუშაოს შესრულება.
20.2.3. დამკვეთის ინიციატივით, თუ შემსრულებელმა დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები და აღნიშნული დარღვევა არ იქნა გამოსწორებული დამკვეთის მიერ განსაზღვრულ დამატებით გონივრულ ვადაში;
20.2.4. წინამდებარე ხელშეკრულების 3.7.1. პუნქტში გათვალისწინებული შემსრულებლის მიერ გარანტიის არ წარმოდგენის შემთხვევაში.
20.3. ხელშეკრულების 10.2.3. მუხლის საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია:
20.3.1. არ გადაუხადოს შემსრულებელს სამუშაოების ღირებულება და მოსთხოვოს მას, დარღვევის გამოსწორებისათვის დამკვეთის მიერ შერჩეული ნებისმიერი პირის მიერ განსაზღვრული ღირებულების ანაზღაურება.

**21. სხვა დებულებები**
21.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შეთხვევაში საკითხს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
21.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
21.3. ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი ზეპირი თუ წერილობითი შეთანხმება კარგავს იურიდიულ ძალას და ყველა ურთიერთობა რეგულირდება ამ ხელშეკრულებით.
21.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.
21.5. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულად ითვლება მხარეთა მიერ მათი ხელმოწერისა და დასკანერებული ვერსიის ან/და ფოტოასლის მეორე მხარისათვის

ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით, ხოლო პირველივე შესაძლებლობისთანავე მხარეები უზრუნველყოფენ ხელმოწერილი დედნების ერთმანეთის მისამართზე გაგზავნას.

**21. მხარეთა ხელმოწერები „დამკვეთი“**

| „დამკვეთი“ | „შემსრულებელი“ |
|---|---|
| **შპს ავერსი-ფარმა** | |
| მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #148 | მის.: |
| ს/კ: **211386695** | ს/კ: |
| | ტელ: |
| სს "თიბისი ბანკი" | E-mail: |
| ა/ნ GE69TB7159136120100002 | სს |
| | ა/ნ |
| ხელმოწერა : ------------------- | ხელმოწერა : ------------------- |
| ბ.ა. | ბ.ა. |

***შენიშვნა: ხელშეკრულების შესაბამისი პირობები/პუნქტები დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.***